

## განმარტებითი ბარათი

### „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს მოქმედ კანონში არსებული სამართლებრივი და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას, აგრეთვე იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების დახვეწას, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობების სრულყოფას იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებულ სფეროში, იარაღის შეძენასთან, რეგისტრაციასთან, გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებას.

– კანონის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის საფუძველზეც დაიხვეწა და სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბდა იარაღის შესახებ საქართველოს კანონში გამოყენებული ტერმინები და მათი განმარტებები.

– კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რის შედეგადაც შეიცვალა ცივი და ცივი სასროლი იარაღების პარამეტრების განმსაზღვრელი ორგანო.

– კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა „ე“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც სამოქალაქო იარაღის სახეებს დაემატა სასიგნალო იარაღი.

– კანონის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის საფუძველზეც თავდაცვის იარაღის სახეებში გაზის იარაღს ცალკე სახედ გამოეყო გაზის აეროზოლური მოწყობილობა.

– კანონის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის საფუძველზეც სპორტული ცეცხლსასროლი იარაღი დაიყო სპორტულ მოკლელულიან და სპორტულ გრძელლულიან იარაღის სახეებად.

– კანონის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის საფუძველზეც დაზუსტდა სანადირო სახის იარაღის განმარტება, ცალკე სახეებად გამოიყო სანადირო გლუვლულიანი, სანადირო ხრახნილულიანი და სანადირო კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღები.

– კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულ იქნა სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისა და მისი მოხსნის წესი.

– მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და ასევე დაემატა „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმადაც დაზუსტებული იქნა სამოქალაქო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღად გამოყენებისათვის აკრძალული იარაღის ჩამონათვალი.

– – ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის საფუძველზეც აიკრძალა 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის და ნებისმიერი ფიზიკური პირის მიერ ცივი სასროლი იარაღის ტარება.

– კანონის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლითაც იარაღის კადასტრი შეიცვალა იარაღის რეესტრით, განისაზღვრა მისი არსი, მწარმოებელი ორგანო, წარმოების წესის დამამტკიცებელი პირი. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს იარაღის ბრუნვაზე კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას, ქვეყანაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის ინფორმაციის თავმოყრის სრულყოფას

– მე-14 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, იარაღის სერტიფიცირების ნაცვლად, აღნიშნული მუხლით განისაზღვრა იარაღის ბალისტიკური შემოწმების ცნება, დადგინდა მისი განმახორციელებელი ორგანო და შემოწმების წესის დამამტკიცებელი პირი, რაც მიზნად ისახავს ფიზიკური პირების მიერ იარაღის რეგისტრაციის წესების გამარტივებას, აგრეთვე რეგისტრაციისას იარაღის მადენტიფიცირებელი მონაცემების, კანონმდებლობასთან იარაღის მახასიათებლების შესაბამისობის დადგენის სრულყოფას

– კანონს დაემატა მე-14<sup>1</sup> მუხლი, რომლითაც დადგინდა, იარაღის ტექნიკური მახასიათებლების განმსაზღვრელი ორგანო - სსიპ მეტროლოგიისა და სელტიფიცირების სააგენტო.

– მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც დაზუსტებულ იქნა იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის განმახორციელებელ პირთა ვალდებულებები.

– – ამავე მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი, რომლითაც დადგენილ იქნა პირების მიერ შეძენილი და რეალიზებული იარაღის აღრიცხვის, გასროლილი მასრებისა და ტყვიების ნიმუშების წარდგენის, აგრეთვე რეალიზებული საქონლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის განმსაზღვრელი პირი.

– – ასევე დაემატა მე-4 პუნქტი, რომლითაც განისაზღვრა ის პირები, რომლებიც არ საჭიროებენ ამ მუხლით პირველი პუნქტით დადგენილ ლიცენზიას.

– მე-19 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლითაც დაზუსტებულ იქნა იარაღის შეძენის უფლების მქონე პირთა ჩამონათვალი, ცალკე იქნა გამოყოფილი კანონმდებლობით დადგენილი წესით საბრძოლო მასალის შეძენის უფლების მქონე პირთა ჩამონათვალი; დაზუსტებულ იქნა პნევმატური იარაღის მაქსიმალური კალიბრი, სადამდეც პნევმატური იარაღის შეძენა არ საჭიროებს ნებართვას; ასევე დადგენილ იქნა ჩამონათვალი, რომლებზეც სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო გასცემს იარაღის შეძენის ნებართვას შენახვის უფლებით და იარაღის შეძენის ნებართვას ტარების უფლებით; აღინიშნა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ნებართვების დადასტურების შესახებ; ამავე მუხლში დადგენილ იქნა იარაღის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებისათვის, აგრეთვე, გაუქმებული რეგისტრაციის აღდგენის მიზნით ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული იარაღის ხელახალი რეგისტრაციის ვალდებულება და ვადა. განისაზღვრა კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებისას გამოყენებისათვის აკრძალული სამოქალაქო სახეობის იარაღი.

– მე-20 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი, რომლის საფუძველზეც ამავე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ დაწესებულებებს წარმოეშვათ ვალდებულება იმისა, რომ უზრუნველყონ კუთვნილი სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლ იარაღიდან გასროლილი ტყვია-მასრების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოსათვის ტყვია-მასროთეკაში განსათავსებლად გადაგზავნას, რაც გააძლიერებს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ბრუნვაზე კონტროლის მექანიზმებს.

– 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც განისაზღვრა ის პირები, რომლებიც თავისი საქმიანობიდან გამომდინარე იარაღის გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნისათვის არ საჭიროებენ ნებართვას.

– 24-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს მოქალაქის მიერ ამ კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სამოქალაქო სახეების იარაღის, იარაღის ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა) წესი, შესაბამისი ნებართვის გამცემი ორგანო.

დადგენილ იქნა ამავე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ნებართვის გაცემის წესი, საქართველოში შემოტანილი იარაღის რეგისტრაციის ვადები.

– 26-ე მუხლს დაემატა მე-11 პუნქტი, ჩამოყალიბებულ იქნა მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს მიეცა უფლება რათა მან საქართველოდან გაიტანოს ჯილდოდ მიღებული

ცეცხლსასროლი იარაღი ან ამავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით შეძენილი სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის იარაღი.

– 31-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები, რომლითაც განისაზღვრა იარაღის ხელახალი რეგისტრაციის ვადა.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიზანია იარაღის რეგისტრაციის წესების დახვეწა-გამარტივება, საქართველოში იარაღის ბრუნვაზე (იარაღის წარმოება, ვაჭრობა, შეძენა, შენახვა, ტარება, გადატანა-გადაზიდვა და ა.შ) კონტროლის გაძლიერების უზრუნველყოფა.

#### **ა.გ) კანონპროექტის არსი**

კანონპროექტი არეგულირებს - იარაღის ბრუნვასთან და მასზე კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, იარაღის ბრუნვის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს. კანონპროექტი ითვალისწინებს ყველა იმ სპეციფიკურობას, რაც გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

#### **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას;

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტების მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

**ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგების იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას, იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება ამ კანონპროექტების მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):**

პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ აღნიშნულ დაწესებულებებსა და ექსპერტებს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

არ მონაწილეობდნენ.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ჩიორა თაქთაქიშვილი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ჩიორა თაქთაქიშვილი.